საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

სამოქალაქო საზოგადოების წერილი რადიო თავისუფლების ხელმძღვანელობას

თომას კენტს, რადიო თავისუფლების პრეზიდენტს

ნენად პეჯიკს, რადიო თავისუფლების ვიცე-პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო,

ბატონო ვიცე-პრეზიდენტო,

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ყურადღებით ვადევნებთ თვალს ბოლო დროს რადიო თავისუფლების ქართული სამსახურის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. ქართული სამსახურის დირექტორის თანამდებობიდან დავით კაკაბაძის გათავისუფლებამ რადიო თავისუფლების ერთგულ აუდიტორიას კითხვები გაუჩინა. თბილისის ბიუროს ხელმძღვანელის მარინა ვაშაყმაძის მიერ თანამდებობის დატოვებამ კიდევ უფრო გაამწვავა წუხილი იმის თაობაზე, რომ მმართველ რგოლსა და

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

ქართული სამსახურის თანამშრომლებს შორის კონფლიქტი უმნიშვნელო შიდა დავას სცდება და შესაძლოა, უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდეს.

რადიო თავისუფლების მენეჯმენტს არ გამოუქვეყნებია ოფიციალური განცხადება კაკაბაძის თანამდებობიდან გათავისუფლების ან კონფლიქტის თაობაზე. 25 იანვარს საქართველოს მოქალაქეებმა ქართული სამსახურის მხარდამჭერ პეტიციას მოაწერეს ხელი. ამას გარდა, მწერლებმა, მუსიკოსებმა, გამომცემლებმა, მსახიობებმა და ადამიანის უფლებათა დამცველებმა მაუწყებლის მმართველთა საბჭოს ღია წერილით მიმართეს. ცალსახაა, რომ ამ საკითხის მიმართ სერიოზული საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

გვესმის, რომ ჟურნალისტები კონფიდენციალობის შესაბამის რეგულაციებს იცავენ და შიდა საკითხებს საჯაროდ არ განიხილავენ, მაგრამ **მოგმართავთ თხოვნით რადიო თავისუფლების მენეჯმენტს, რომ ნათელი მოფინოს საკითხს და დაინტერესებულ საზოგადოებას ღიად და გამჭვირვალედ მიაწოდოს ინფორმაცია კონფლიქტის არსის და რადიო თავისუფლების ქართული სამსახურის მომავლის შესახებ.**

ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ რადიო თავისუფლების ორი სატელევიზიო გადაცემის შეწყვეტის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში თქვენ აღნიშნეთ: Ḍ□□□□□ გადაცემამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს საზოგადოებრივ დისკურსში და პოლიტიკურ განვითარებაში. □ ჩვენ ახლა სწორედ ამ ორი პოპულარული გადაცემის ბედი გვაღელვებს. **ჩვენთვის, როგორც ერთგული მაყურებლებისთვის, გაურკვეველია გაგრძელდება თუ არა გიორგი გვახარიას Ḍ□□□□□□□□□□□□ აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე. კიდევ უფრო გაურკვეველია, თუ რატომ არ დაიწყო სალომე ასათიანის გადაცემა მაშინ, როცა დონორის დაფინანსება უკვე არსებობს და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელიც მზადაა მის ეთერში გასაშვებად.**

ყალბი ახალი ამბების და ჰიბრიდული ომების ეპოქაში, ხარისხიანი ჟურნალისტიკა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ბევრი ჩვენგანისთვის რადიო თავისუფლების ქართულენოვანი პროდუქტი უმაღლესი პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ჟურნალისტიკის მაგალითია.

რადიო თავისუფლების ქართული სამსახური და მისი ადგილობრივი ბიურო მუდამ ცდილობდა ინოვაციების დამკვიდრებას ქართულ ჟურნალისტიკაში, იქნებოდა ეს ბლოგების გამოქვეყნება, მობილური ტელეფონით რეპორტინიგი თუ მულტიმედია ფორმატების ათვისება.

~~ვიმედოვნებთ, რადიო თავისუფლების მენეჯმენტი დაგვარწმუნებს იმაში, რომ ამ პროფესიონალთა გუნდის მიერ წარმოებული ჟურნალისტიკა კვლავ მოთხოვნადია.~~

პატივისცემით,

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

კოალიცია მედიის ადვოკატირებისათვის

ლიბერალური აკადემია- თბილისი

მედიაკლუბი

მცირე და საშუალო ტელეკომის ოპერატორების ასოციაცია

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ჟურნალისტიკის რესურსცენტრი

ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“